

შპს „კმ-სერვისი“

ფინანსური ანგარიშგება
2018 წელი.

ქ.თბილისი

25.09.2019 წელი

შინაარსი:

1. ფორმა.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება --- 3
2. ფორმა 2.საქმიანობის შედეგები -- 4
3. ფორმა 3. ფულადი სახსრების მოძრაობა --- 5
4. ზოგადი ინფორმაცია -- 6
5. მნიშველოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა -- 6
6. ძირითადი საშუალებები --6
7. მარაგები -- 7
8. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება --- 7
9. იჯარა --- 7
10. დაბეგვრა - 7
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები -- 8



ხელმძღვანელობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შემოწმებული პერიოდი მოიცავს 2015 წლის 1 იანვრიდან , 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია შპს კმ-სერვისის მთავარი ბუღალტრის ალისა ვაშაკიძის მიერ და სამართლიანად ასახავს შპს კმ-სერვისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015;2016;2017 წლის 31 დეკემბრისათვის; ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას; ასევე, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2019 წლის 25 სექტემბრისთვის.

დირექტორი

ზვიად მამისაშვილი

25.09.2019

თბილისი, საქართველო

2

დირექტორი:

ზ. მამისაშვილი



ზვიად მამისაშვილი

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31,12,2018	31,12,2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	110 856	93 829
სავაჭრო მოთხოვნები	219 739	239 820
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	363 355	199 630
მარაგები	907 636	848 953
- მზა პროდუქცია		
- სხვა	907 636	848 953
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3 729	41 137
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1 605 315	1 423 369
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	39 582	1 594
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	11 271	1 832
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	48 483	(2 500)
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	17 674	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		178 038
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	118 939	
სულ ვალდებულებები	235 949	178 964
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 369 366	1 244 405
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	1 369 366	1 244 405
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 605 315	1 423 369

3 | დირექტორი:

ბ. შავეჩი



ზვიად მამისაშვილი

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი 2018	
ნეტო ამონაგები	1 364 802
საქონლის გაყიდვიდან	1 351 785
მომსახურების გაწევიდან	13 017
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 024 758)
საწყისი მარაგები	(848 953)
მარაგების შესყიდვა	(1 083 441)
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	907 636
საერთო მოგება	340 044
სხვა შემოსავალი	10 699
დასაქმებულთა ანაზღაურება	(107 062)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5 685)
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	(11 953)
იჯარის ხარჯი	(52 118)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(32 503)
სულ საოპერაციო ხარჯები	(198 622)
საოპერაციო მოგება	141 422
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(6 097)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	11 643
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	146 968
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	146 968
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)	
გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	1 046 619
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 244 405
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	124 961
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 369 366

4 დირექტორი:



ზვიად მამისაშვილი

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	54 433
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(37 406)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	17 027
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	93 829
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	110 856

5 | დირექტორი:



ზვიად მამისაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კმ-სერვისი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2009 წლის 12 ივნისს შპს „სეიფთი“-ის სახელით. აქტიური საქმიანობა დაიწყო იმავე პერიოდში. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მეორადი ავტოსატარაქო ნაწილების იმპორტი / რეალიზაცია.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან ზვიად მამისაშვილი --25 % და გელა გოგიაშვილი -- 75%.

დირექტორი ზვიად მამისაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია : ქ.თბილისი, ქინძმარაულის ქ. 7.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2018 წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში სადაც ფუნქციონირებს კომპანია -- ქართული ლარი.

. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსით, წლის ბოლოსთვის.

. კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს ნასყიდობის დანახარჯს და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება დირექტორატის მიერ და არ იცვლება მთელი მომსახურების პერიოდზე. ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივების ნარჩენი ღირებულების და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში , მათი ცვლილება. სასარგებლო ვადის ამოწურვის შემდგომ ხდება ძირითადი საშუალების ლიკვიდაცია და ჩამოწერა, ხოლო ვარგისიანობის შემთხვევაში მისი აფასება. ორივე შემთხვევა დასტურდება შესაბამისი აქტებით.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში, ან თუ არ არის სარგებლის მიღება შესაძლებელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა, ან ზარალი, აღიარდება პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია, საოფისე ავეჯი და ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებების და დანადგარებისაგან. პერიოდულად, ძირითად

ზ. მამისაშვილი



საშუალებებზე ჩატარებული იქნა სარემონტო სამუშაოები და გახარჯული იქნა მარაგები, რაც არ წარმოადგენდა კაპიტალურ რემონტს და მიეკუთვნა პერიოდის რემონტის დანახარჯებს.

4. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო თანხას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს და იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება მარაგებზე სარემონტო სამუშაოს განხორციელება, რაც ზრდის შესაბამისად მარაგის თვითღირებულებას. (შედგენლია შესაბამისი აქტები).

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასაყიდად განკუთვნილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებს, კერძოდ, მეორად ავტოსატარავი ნაწილებს. მისი ძირითადი ნაწილი მიიღება იმპორტის გზით. საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლის განბაჟება ხდება წონის გათვალისწინებით. ასევე, მეორადი ავტოსატარავი ნაწილებზე ხდება დაშლის პროცედურა, რის შედეგადაც მიიღება ახალი სასაქონლო მატერიალური მარაგები, ხოლო განფასება ხდება დირექტორატის გადაწყვეტილებით. საქონლის დაშლა, რემონტი, ჩამოწერა, ჯართად აღიარება და სხვა მსგავსი პროცედურები დასაბუთებულია შესაბამისი აქტებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით. ფასნამატი განსხვავებულია ყველა სასაქონლო მარაგისათვის.

5. შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ფინანსურ აღრიცხვაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, ფასს-ის შესაბამისად. ხოლო საგადასახადო აღრიცხვისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.

კომპანიისათვის ძირითადი შემოსავალი მიიღება საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურებიდან.

6. იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე -- იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ იჯარად და საიჯარო გადასახდელი, ხელშეკრულების საფუძველზე, აღიარდება პერიოდის ხარჯად.

კომპანია, როგორც მეიჯარე -- კომპანიას, ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში პერიოდულად, გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები, ხელშეკრულების საფუძველზე. საიჯარო შემოსავალი აღიარდება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.

7. დაბეგვრა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ვალდებულებების“ მუხლში.

7 | დირექტორი:

ბ. შიშკო



ზვიად მამისაშვილი

8. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო მოვლენები რომლებიც არ ცვლის ფინანსურ მდომარებას, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება შენიშვნის სახით.

8 | დირექტორი:

ხ. შ. შ. შ.



ზვიად მამისაშვილი